ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №276/01-01, 21.12.2017წ.

დანართი №1

2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ზაარლანდის უნივერსიტეტის (გერმანია) მიერ თსუ-სთან პარტნიორობის ფარგლებში თსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და სტიპენდიატთა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შორის ზაარლანდის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შერჩევა 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

სტიპენდიატები შეირჩევიან კანდიდატთა შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. სტიპენდიატების შერჩევა

სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1) მოტივაციის წერილი
2) ზეპირი პრეზენტაცია (გერმანულ ენაზე)
3) აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.